ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი N54

25 აგვისტო, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

11:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
თ. ნიბლოშვილი, ა. ლაშხი, ბ. ფირცხელიანი, ე. კუხიანიძე, ვ. ძნელაძე, ვ. ოთარაშვილი, მ. დარჩია, ქ. ჯოხაძე.

მოწვეული სტუმრები:
მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2021 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

   მომხსენებელი: ქალბატონი მაკა ნასრაშვილი
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც კომისიის წევრების მიერ ერთხმად იქნა მოწონებული და დამტკიცებული.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ საქალაქო სამსახური კულტურის სფეროს მიმართულებით ზედამხედველობას უწევს 105 მუნიციპალურ ობიექტს, როგორც ინფრასტრუქტურულ, ასევე, პროგრამულ ნაწილში. ამ ობიექტებს განეკუთვნება, ქალაქ თბილისში მოქმედი მუზეუმები, თეატრები, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება, სახელოვნებო სკოლები, პანთეონები და რიგი სხვა ობიექტები.

2021 წლის მეორე კვარტალში განხორციელებულ კულტურის სფეროს პროექტებსა და პროგრამებთან დაკავშირებით ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ „კოვიდ 19“-ის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა, სხვა სფეროების მსგავსად, კულტურის სფეროსაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ერთი მხრივ, შემოქმედებითი სივრცეების ჩაკეტილობის, მეორე მხრივ კი, რეგულაციებისა და შეზღუდვების გამო, ქართველი ხელოვანებისა და სახელოვნებო ორგანიზაციების დიდი ნაწილი ფინანსური სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური პანდემიის დაწყებისთანავე ცდილობდა მაქსიმალურად შეემცირებინა კრიზისული პროცესების გავლენა კულტურის სფეროსა და აქ დასაქმებულ ადამიანებზე, ხელი შეეწყო მათ ადაპტირებას ახალ რეალობასთან.

ქალბატონი მაკა ნასრაშვილის თქმით, ღონისძიებების ადაპტირებისთვის სამსახურმა შემოიღო ახალი სტრატეგია: ღონისძიებების ნაწილი ონლაინ პლატფორმებზე გადავიდა და უმეტესობა კი, უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით, ღია სივრცეებში მიმდინარეობდა. ამისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურთან ერთად, მერიის სხვადასხვა სამსახურები, აქტიურად არიან ჩართული დაგეგმილი პროექტების განხორციელების პროცესში, ხელს უწყობენ არტისტებს სხვადასხვა ტექნიკური საკითხის ორგანიზებაში, მათ შორის, ღონისძიებებისთვის საჭირო რესურსების მობილიზებაში. შექმნილი ვითარების მიუხედავად, სამსახური ეფექტიანად ახორციელებდა და ახორციელებს კულტურის სფეროს პროგრამებს, წარმატებით გრძელდება სამსახურთან არსებული კომისიების მუშაობა და კულტურის სფეროს პროექტების დაფინანსება.

მერიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბიუჯეტო პროგრამის „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 05) ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური წელსაც, ისევე, როგორც გასულ წელს, მაქსიმალურად ცდილობს დაეხმაროს ქართველ ხელოვანებს და სახელოვნებო ორგანიზაციებს კოვიდ-პანდემიის გავრცელების გამო შექმნილი ვითარებით გამოწვეული პრობლემების გადაჭრაში, ამასთან, ხელი შეუწყოს კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესების უწყვეტობას. 2021 წლის პირველ და მეორე კვარტალში სამსახურმა ჩაატარა კულტურის სფეროს პროექტების განმხილველი კომისიის 7 სხდომა და დააფინანსა 125-მდე პროექტი, მათ შორის: საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის ფესტივალები, ბიენალეები, გამოფენები, მუსიკალური ღონისძიებები და სხვა. მათგან ნახევარზე მეტი უკვე ჩატარდა, დანარჩენები კი მიმდინარეობის, ან დასრულების პროცესშია.

თეატრალური პროექტების ხელშეწყობის ფარგლებში, მომართვის შესაბამისად, ჩატარდა 2 კომისია და დაფინანსდა 23 წარმოდგენა, რომელთაგან 6 პრემიერა უკვე გაიმართა. დანარჩენი პროექტები მიმდინარეობის ან დასრულების პროცესშია. საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულება შეადგენს 2 258 600 ლარს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის განმარტებით, დედაქალაქის მერია ახორციელებს საბიუჯეტო პროგრამას „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი 08 09), რომელიც ევროკავშირის ერთ-ერთი უმსხვილესი პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“

გამოძახილია, რომელშიც საქართველო 2014 წლიდან ჩაერთო. 2017 წელს იგი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ცალკე პროგრამად „შემოქმედებითი თბილისი"-ს სახით ჩამოყალიბდა, შეიქმნა სპეციალური ონლაინ პლატფორმა, რომლითაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ისარგებლოს და ვებგვერდზე culture.tbilisi.gov.ge საკონკურსო პერიოდის განმავლობაში წარადგინოს საკუთარი პროექტი. პროექტები შეიძლება წარდგენილ იქნეს 4 ძირითადი მიმართულებით: საგამომცემლო საქმიანობა, ვიზუალური ხელოვნება, აუდიო-ვიზუალური ხელოვნება, დიზაინი და რეწვა. კონკურსი წელიწადში ორჯერ: გაზაფხულსა და შემოდგომაზე ტარდება. საანგარიშო პერიოდში გაიმართა კონკურსის „შემოქმედებითი თბილისი" I ეტაპი. საქალაქო სამსახურმა მიიღო 82 განაცხადი, ანუ 2021 წელს აპლიკაციების რიცხვი თითქმის 20%-ით იყო გაზრდილი. საერთო ჯამში, დაფინანსდა 56 პროექტი: მათ შორის, საგამომცემლო საქმიანობის მიმართულებით - 32 პროექტი, ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით - 4 პროექტი, აუდიოვიზუალური ხელოვნების მიმართულებით - 11 პროექტი, დიზაინისა და რეწვის მიმართულებით - 9 პროექტი. კონკურსის პირველი ეტაპისთვის პროექტების დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 520 000 ლარი. კონკურსში დაფინანსებული პროექტებიდან წარმატებით განხორციელდა 18, დანარჩენები კი მიმდინარეობის ან დასრულების ეტაპზეა. საანგარიშო პერიოდისათვის საკასო შესრულება შეადგენს 71 000 ლარს.

ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე საბიუჯეტო პროგრამაზე - „ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობა" (კოდი 08 13); მისი თქმით, ინკლუზიური ხელოვნების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციები, სამუშაო პროფილის სპეციფიკიდან გამომდინარე, სიფრთხილეს იჩენენ „კოვიდ-19"-ის გამო და ერიდებიან ღონისძიებების ორგანიზებას. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისადმი მიმართვიანობა შედარებით შემცირებულია. ამ დრომდე დაფინანსდა 8 განაცხადი, რომელთა უმეტესობა დასრულდა, ნაწილი კი დასრულების ეტაპზეა. საანგარიშო პერიოდისათვის საკასო შესრულება შეადგენს 38 000 ლარს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის ინფორმაციით, საბიუჯეტო პროგრამის „თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა" (კოდი 08 01) ფარგლებში, 6 თვის განმავლობაში გახარჯული თანხის რაოდენობა შედგენს 973 216 ლარს. „სამეფო უბნის თეატრში" განხორციელდა 7 ონლაინ პრემიერა, 3 წარმოდგენა და 1 პრემიერა გაიმართა ღია ცის ქვეშ, ამჟამად მიმდინარეობს 6 სპექტაკლი. რაც შეეხება მაყურებელთა რაოდენობას, ღია ცის ქვეშ დამსწრეთა რიცხვი 600 შეადგენდა, ხოლო, სპექტაკლებზე მაყურებელთა რაოდენობა კი - 491-ს.

13 სპექტაკლი გაიმართა აგრეთვე „სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატულ თეატრში", რომელსაც 858 მაყურებელი ესწრებოდა. „პანტომიმის სახელმწიფო თეატრმა" პირდაპირი ჩართვის ფორმატში წარმოადგინა 1 პრემიერა, რომელსაც დისტანციურად 2200 მნახველი ჰყავდა; აგრეთვე, გაიმართა 16 სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობა 347 შეადგენდა. „სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიულ მუნიციპალურ თეატრში" - პირდაპირი ჩართვის ფორმატში გაიმართა 1 სპექტაკლი, წარმოდგენილ იქნა 2 პრემიერა და ჩატარდა 10 სპექტაკლი, რომელსაც 210 მაყურებელი ესწრებოდა. 1 პრემიერა შედგა ასევე, ა(ა)იპ „ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერულ დასში - თბილისის თანამედროვე ბალეტში“ და ჩატარდა 2 სპექტაკლი.

ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა აღნიშნა, რომ საბიუჯეტო პროგრამაზე „ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია“ (კოდი 08 03) 6 თვის განმავლობაში გაიხარჯა 563 782 ლარი; დაიწყო ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის კვლევა-პროექტირება; ზაქარია ფალიაშვილის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საზოგადოებას წარედგინა კომპოზიტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ორენოვანი საერთაშორისო გამოცემა - „მესა“; მუნიციპალური მუზეუმების ფონდების შევსებისა და გამდიდრების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისყიდა ტიპოლოგიური და ეპოქალური ნივთები; მუზეუმების საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, გაიმართა სხვადასხვა ღონისძიება, როგორც მუზეუმებში, ასევე ღია სივრცეში.

ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა ასევე წარმოადგინა საბიუჯეტო პროგრამის ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“ (კოდი 07 03 03) შესრულების მონაცემები. მისი ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებაში დაიწყო რებრენდინგის პროცესი, დასრულდა N25 ფილიალის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და მიმდინარეობს ინვენტარით აღჭურვა, ხოლო N9 ფილიალში გრძელდება სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. 6 თვის განმავლობაში გახარჯული თანხა შეადგენს 1 378 403 ლარს. „სულაკაურის გამომცემლობასთან“ თანამშრომლობით, ხორციელდება პროექტი „ვკითხულობთ ქართულს“, რომლის ფარგლებში, ჩატარდა ლექციების ციკლი.

მერიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როგორც ცნობილია, ქალაქი თბილისი გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) გადაწყვეტილებით, 2021 წლის 23 აპრილიდან 2022 წლის 23 აპრილამდე წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსს ატარებს. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი წიგნისა და ლიტერატურის მოყვარულებს მრავალგვარ საინტერესო ღონისძიებას სთავაზობს.

საბიუჯეტო პროგრამის „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა“ (კოდი 08 02) ფარგლებში, გასული 6 თვის განმავლობაში სახელოვნებო განათლების ხელშეწყობისთვის გამოიყო და გაიხარჯა სუბსიდია - 1 303 790 ლარი; კომუნალური გადასახადები დაფინანსდა 149 600 ლარით.

„კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები“ (კოდი 08 04 04) ფარგლებში, მიმდინარეობს მზიურის პარკში მდებარე ყოფილი საბაგირო შენობის აღჭურვის პროცესი. რომელიც სრულად იქნა რეაბილიტირებული და გადაკეთდა მულტიფუნქციურ ცენტრად, იგი აერთიანებს მინიმალისტურ ბიბლიოთეკას და თანამედროვე ხელოვნების გალერეას. აღჭურვის პროცესის დასრულების შემდეგ, ქალაქ თბილის კიდევ ერთი საინტერესო სივრცე შეემატება. ამასთანავე, ქალაქ თბილისში მდებარე რამდენიმე სკოლას გამოეყო თანხა სხვადასხვა საჭიროების დაკმაყოფილებისთვის, როგორიცაა, ინსტრუმენტებისა და კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა; 3 სკოლაში შეიცვალა გათბობის სისტემა; ხოლო, 2 სკოლაში გამოიცვალა ელექტრო ენერგიისა და კანალიზაციის სისტემები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის თქმით, საბიუჯეტო პროგრამის „ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა“ (კოდი 08 04 03) ფარგლებში, მიმდინარეობს მახათას მთაზე მდებარე ახალ პანთეონში არსებული სამარხების მოპირკეთების პროცესი.

კომისიის წევრი, ბატონი ვაჟა ოთარაშვილი დაინტერესდა, თუ ითვალისწინებს პროგრამა „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი 08 09) მწერალთა ხელშეწყობას. ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ მწერალთა ხელშეწყობისათვის თანხები გამოიყოფა საბიუჯეტო პროგრამიდან - „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“(კოდი 08 05), რომელიც გულისხმობს საპროექტო დაფინანსებას. პროექტის ფარგლებში ფინანსდება წიგნის ფესტივალები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები. მანვე აღნიშნა, რომ პროგრამის "თბილისი-წიგნის მსოფლიო დედაქალაქი" ფარგლებში, მიმდინარე წლის მაისში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ მასშტაბური შეხვედრა გამართა მწერლებთან, გამომცემლებთან, სადაც, მათი ინტერესების გათვალისწინებით, განხილულ იქნა სხვადასხვა შინაარსის პროექტები, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 150-მდე აღწევს. ძალიან დიდი მოთხოვნა იყო სარეზიდენციო, საერთაშორისო გაცვლით და მთარგმნელობით პროგრამებზე.

ბატონი ვაჟი ოთარაშვილის თქმით, მას წერილობით მიმართა რამდენიმე მოქალაქემ, ასევე, შეხვედრა ჰქონდა თეატრალურ მოღვაწეებთან, მწერლებთან და არქიტექტორებთან, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მახათას მთის პანთეონში ყველა საფლავი ერთნაირია და გულისწყრომას გამოხატავენ, რომ იქ დაკრძალული მათი ახლობელთა განსასვენებლები სტანდარტულად არის მოპირკეთებული. მაშინ როდესაც, მთაწმინდის, დიდუბისა და საბურთალოს პანთეონებში მოღვაწეთა საფლავები ინდივიდუალურია და ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება. ბატონი ვაჟა დაინტერესდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის პოზიციით.

საპასუხოდ, ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ მახათას მთის პანთეონის განაშენიანების საკითხზე მსჯელობდა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ არქიტექტორები, მათ შორის, ბატონები, გიგა ბათიაშვილი, ლადო ვარდოსანიძე; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, გიორგი ალიბეგაშვილი, ასევე, საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი. 2017 წელს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან, ილია II-სთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი საკუთარი ხარჯებით ვერ დააფინანსებს მახათას მთის პანთეონში ცალკეული საფლავების ინდივიდუალურად კეთილმოწყობას ამ სამუშაოების განსაკუთრებული სიძვირის გამო; ასევე, გადაწყდა, რომ მახათას მთის პანთეონში ყველა საფლავი ერთნაირად - მარმარილოს ქვით მოპირკეთდებოდა, რაზეც შემდეგში გამოცხადდა კონკურსი.

ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია უარს ამბობს მახათას მთის პანთეონში საფლავის არასტანდარტულად მოწყობაზე განსვენებულის ოჯახის სურვილის შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი მზადაა საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს საფლავის მოწყობა. დეპუტატის თქმით, არ ეთანხმება დედაქალაქის მერიის ამგვარ მიდგომას.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ მთელს მსოფლიოში და ასევე, საქართველოშიც საზოგადო მოღვაწეთა პანთეონები მნიშვნელოვანი ობიექტებია, რომლებიც ტურისტულ მარშრუტებშიც კი შედის. ამიტომ მათი საფლავები განსხვავებული უნდა იყოს და სიმბოლურად, გარეგნულადაც გამოხატავდეს გარდაცვლილი მოღვაწის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა, კომისიის წევრმა, ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ. მისი თქმით, მახათას მთის პანთეონში შესაძლებელი უნდა იყოს განსხვავებული ტიპის საფლავების მოწყობა, რათა ოჯახებმა შეძლონ ღირსეული პატივი მიაგონ გარდაცვლილ საზოგადო მოღვაწეს, თუმცა საფლავების მოწყობა უნდა კონტროლდეოდეს შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ, რომელიც დაადგენს პანთეონის განაშენიანების ზოგად და სავალდებულო სტანდარტებს.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მახათას მთის პანთეონში საფლავების ერთგვაროვანი ფორმით მოპირკეთება მიზანშეწონილია.

ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, პანთეონებში გარდაცვლილი საზოგადო მოღვაწეების საფლავთა მოწყობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სახსრებით ხდება; ძნელად თუ მოიძებნება შემთხვევა, როდესაც ოჯახი საკუთარი ფინანსებით უზრუნველყოფს გარდაცვლილის საფლავის კეთილმოწყობას. იმის გათვალისწინებით, რომ დედაქალაქის ბიუჯეტის ასიგნებები შეზღუდულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია საკუთარი სახსრებით ვერც მომავალში უზრუნველყოფს პანთეონში საფლავების ინდივიდუალურად - სხვადასხვა არქიტექტურით მოწყობას. რაც შეეხება გარდაცვლილის ოჯახის მიერ პანთეონში საფლავის საკუთარი თანხებით მოპირკეთებას, იგი მზად არის ეს ინიციატივა განიხილოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობასთან ერთად და საკითხის გადაწყვეტის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კომისიის მოწვევას, რომელზეც იმსჯელებენ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
თინათინ ნიბლოშვილმა, მაკა ნასრაშვილმა, მარიკა დარჩიამ, ვაჟა ოთარაშვილმა, ერეკლე კუხიანიძემ.

განათლებისა და კულტურის კომისიამ ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2021 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თინათინ ნიბლოშვილი